ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4513966

ნომერი: AR1681305

თარიღი : 16.05.2019

გაცემის თარიღი : 23.05.2019

გაცნობის თარიღი : 23.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა ; ქალაქი თბილისი , ზურგოვანის ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , სოფელი ზურგოვანი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 16 მაისის #AR1681305 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.72.14.014.798 მიწის ნაკვეთზე 10 ერთეული ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, 2008 წლის 04 ივლისის N01/871 ბრძანებით შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომლის კ2 საანგარიშო კოეფიციენტი შეადგენს 2310.7კვ.მ-ს, ხოლო აღნიშნულ პროექტზე 2008 წლის 14 ივლისის N ნ/1170 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. დღეის მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე უკვე ათვისებულია დასაშვები კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის 68.1%, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზური ვარიანტის შესაბამისად, 10 ერთეული, სამსართულიანი, ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის განთავსებისათვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი 2019 წლის 16 მაისის #AR1681305 განცხადება, ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.